

**ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა
ტესტირების და გასაუბრების ჩატარების წესი**

ქალაქი დუშეთი

30 ივლისი 2013 წელი

თავი I. ზოგადი დებულებები

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა წერიითი გამოცდის, ტესტირების და გასაუბრების წესი საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის N 46 ბრძანებულებით დამტკიცებულ „საჯარო თანამდებობებთან დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის“ და დუშეთის საკრებულოს 2013 წლის 8 ივლისის N41 განკარგულების შესაბამისად განსაზღვრავს კონკურსში მონაწილე პირთა ტესტირების და გასაუბრების გავლის წესს.

თავი I. ტესტირება

მუხლი 1. ტესტი

1. ტესტი არის კითხვა ოთხი სავარაუდო პასუხით. სავარაუდო პასუხებიდან ერთი პასუხი არის სწორი.
2. ტესტები დგება ადგილობრივ მოხელეთა საკონკურსო პროგრამის შესაბამისად.
3. კონკურსანტის ამოცანაა თითოეულ კითხვის ოთხი სავარაუდო პასუხიდან გამოიცილოს სწორი პასუხი და სათანადო აღნიშვნა გააკეთოს პასუხის ფურცელში.
4. პასუხის ფურცელში თითოეულ კითხვაზე ერთზე მეტი პასუხის აღნიშვნა ან პასუხის არ აღნიშვნა ფასდება 0 ქულით.

მუხლი 2. ტესტის საკითხების შეფასება

ტესტის სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი 0 ქულით.

მუხლი 3. ტესტირების დრო

1. ტესტებზე პასუხის გასაცემად კონკურსანტს ეძლევა 3 ასტრონომიული საათი. ტესტირებისათვის გამოყოფილი დროის ათვლა იწყება ტესტირების ინსტრუქტაჟის დამთავრებიდან. დროის გადაცილების შემდეგ ნამუშევარი არ გასწორდება და კონკურსანტს დაეწერება შეფასება 0.
2. ტესტირების დროის ამოწურვის შესახებ კონკურსანტები მიიღებენ ორჯერ გაფრთხილებას: დროის დამთავრებამდე 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. 15 წუთიანი გაფრთხილების შემდეგ ტესტირების ვადის ამოწურვამდე არავის აქვს უფლება დატოვოს საგამოცდო დარბაზი ტესტის ჩაბარების გარეშე.

მუხლი 4. ტესტების შედგენა

1. საკონკურსო-საატესტაციო კომისია უზრუნველყოფს საკონკურსო პროგრამის შესაბამისად ტესტების მომზადებას.
2. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს კომისიის მიერ შერჩეული კითხვების დანომვრას, დაბეჭდვასა და გამრავლებას, ასევე მომზადებული ტესტების შესავსები პასუხის ფურცლების დაბეჭდვასა და ბეჭდით დამოწმებას.

მუხლი 5. ტესტების დარიგების წესი

1. ტესტირების დაწყების წინ კონკურსანტებს ეძლევა:

ა) ტესტების ტექსტი;

ბ) კომისიის მიერ ბეჭდით დამოწმებული ტესტების შესავსები პასუხის ფურცელი;

2. ტესტირების დარბაზში უნდა დარიგდეს იმდენი ტესტის ტექსტი და ტესტების დამოწმებული შესავსები პასუხის ფურცელი, რამდენი კონკურსანტიც არის გამოცხადებული (რეგისტრირებული) ტესტირებაზე.

მუხლი 6. სავალდებულო ინსტრუქტაჟი ტესტირების დაწყებამდე

1. ტესტებზე პასუხის გაცემის დაწყებამდე კომისიის წარმომადგენელი უტარებს ინსტრუქტაჟს კონკურსანტებს.

2. ინსტრუქტაჟზე კონკურსანტებს ეცნობებათ ტესტების ამოხსნის მეთოდოლოგია, პასუხის მონიშვნის წესი, ტესტირების პროცესის ხანგრძლივობა, კონკურსანტთა უფლება-მოვალეობები და სხვა საკითხები, რაც აუცილებელია ტესტირების ნორმალურად ჩატარებისათვის.

მუხლი 7. აკრძალვები

1. ტესტირების მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის გამოყენება.

2. საგამოცდო დარბაზში დაუშვებელია მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების შემოტანა. კონკურსანტი ვალდებულია ტესტირების დაწყებამდე აღნიშნული საშუალებები ჩააბაროს კომისიის უფლებამოსილ პირს.

3. ტესტირების მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა კონკურსანტისათვის რაიმე ფორმით ხელისშეშლა.

4. ტესტირების მსვლელობისას კონკურსანტს ეკრძალება სამუშაო ადგილის თვითნებური დატოვება. სამუშაო ადგილის დატოვება შეიძლება მხოლოდ კომისიის მიერ უფლებამოსილი პირის ნებართვით, მის მიერ გამოყოფილ თანმხლებ პირთან ერთად.

5. კონკურსანტი, რომელიც შემჩნეული იქნება ამ მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნების დარღვევებში პირველად მიეცემა გაფრთხილება, ხოლო განმეორებით დარღვევის შემთხვევაში მოიხსნება კონკურსიდან და დაეწერება შეფასება 0.

თავი II

ტესტირებაზე გამოცხადების წესი და ზედამხედველობა

ტესტირების მიმდინარეობაზე

მუხლი 8. ტესტირებაზე გამოცხადების დრო

1. ტესტირების დღეს კონკურსანტი უნდა გამოცხადდეს ტესტირების ჩატარების ადგილზე დილის 10 საათიდან. კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე კონკურსანტი ტესტირებაზე არ დაიშვება.

3. 10-დან 11 საათამდე ხდება კონკურსანტთა რეგისტრირება კონკურსანტთა მიერ სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. 11 საათზე იხურება შენობის შესასვლელი და

დაგვიანებული პირები ტესტირებაზე არ დაიშვებიან, ხოლო კონკურსანტთა რეგისტრაციის ჟურნალში კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

მუხლი 9. ტესტირებაზე გამოუცხადებლობის შედეგი

ტესტირებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიოა თუ არასაპატიო) კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

მუხლი 10. საგამოცდო დარბაზში ადგილის დაკავების წესი

1. კონკურსანტი საგამოცდო დარბაზში ადგილს იკავებს კომისიის უფლებამოსილი პირის მითითებით.

2. ტესტირების დაწყებიდან კონკურსანტის მიერ თვითნებურად ადგილის გამოცვლის შემთხვევაში, კონკურსანტი მოიხსნება ტესტირებიდან და დაეწერება 0 ქულა.

მუხლი 11. საგამოცდო დარბაზში შესვლის უფლება

1. საგამოცდო დარბაზში დაიშვებიან მხოლოდ კონკურსანტები, კომისიის წევრები, კომისიის მიერ მოწვეული მეთვალყურეები და დამკვირვებლები (სპეციალური საშვის საფუძველზე).

2. უცხო პირთა შესვლა საგამოცდო დარბაზში აკრძალულია.

3. კომისიის მიერ მოწვეული მეთვალყურეები კომისიის დავალებით უზრუნველყოფენ ტესტირების პროცესის ორგანიზებულად ჩატარებას, დახმარებას უწევენ კომისიის წევრებს ტესტირების ჩატარებაში.

4. დამკვირვებლები საგამოცდო დარბაზში იკავებენ კომისიის წარმომადგენლის მიერ მათთვის გამოყოფილ ადგილებს. დამკვირვებელს უფლება არ აქვს ჩაერიოს ტესტირების პროცესში, რაიმე ფორმით გამოხატოს თავის კმაყოფილება ან უკმაყოფილება და ხელი შეუშალოს კონკურსის მიმდინარეობას. დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია დამკვირვებელს დაატოვებინოს დარბაზი, გაუუქმოს დამკვირვებლის საშვი.

მუხლი 12. ტესტირების პასუხის ფურცლების შევსების წესი

1. ტესტირების პასუხის ფურცლები ივსება კონკურსანტის მიერ ლურჯი, შავი ან იისფერი ბურთულიანი კალამით. განსხვავებული ფერით (წითელი, მწვანე და ა.შ) ან ფანქრით შევსებული ტესტირების პასუხის ფურცელი არ გასწორდება და კონკურსანტს დაეწერება შეფასება 0.

2. კონკურსანტი ტესტირების პასუხის ფურცელზე გამოყოფილ სპეციალურ გრაფაში წერს პირადი მოწმობის თერთმეტნიშნა ნომერს, ტესტების ვარიანტის ნომერს და ადასტურებს ინსტრუქციის გაცნობას. აღნიშნული რეკვიზიტების გარეშე არსებული ტესტირების პასუხის ფურცელი არ გასწორდება.

3. ტესტირების პასუხის ფურცელზე აღნიშნულია ტესტის საკითხის ნომერი (არაბული ციფრით) და პასუხების რიგითობა (ალფაბეტით). კონკურსანტი აღნიშნავს ტესტირების ტექსტური ნაწილის შესაბამის საკითხების რიგითი ნომრის ალფაბეტის იმ ასოს შესაბამის იმ გრაფას, რომელსაც სწორად მიიჩნევს.

4. იმ შემთხვევაში, თუ კონკურსანტი გადაასწორებს ტესტირების პასუხს, ტესტირების პასუხის ფურცლის ბოლოში კონკურსანტმა უნდა მიუთითოს გადასწორებულ პასუხთა საერთო რაოდენობა.

5. ტესტირების პასუხის ფურცელზე ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი რეკვიზიტებისა და/ან გადასწორების აღნიშვნის შესახებ მითითების გარდა დაუშვებელია მაიდენტიფიცირებელი სხვა რაიმე აღნიშვნის გაკეთება (სახელი, გვარი და ა.შ), ან რაიმე სახის გრაფიკული გამოსახულება (ფიგურა, წარწერა და ა.შ). ან ფურცლის დაზიანება (კუთხის ჩამოხევა და ა.შ).

6. კონკურსანტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ გამოცვალოს ტესტირების პასუხის ფურცელი. ტესტირების პასუხის ფურცლის გამოცვლა არ დაიშვება ტესტირების დროის ამოწურვის შესახებ მეორე გაფრთხილების შემდეგ (თუ ტესტირების დროის დამთავრებამდე დარჩენილია 15 წუთზე ნაკლები).

7. ტესტირებისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ ტესტირების პასუხის ფურცლის შევსებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება წყდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ შევსებულ ტესტირების პასუხის ფურცელს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ უკეთდება შესაბამისი აღნიშვნა და იგი არ გასწორდება.

8. შევსებულ ტესტირების პასუხის ფურცელს კონკურსანტი აბარებს კომისიის მიერ უფლებამოსილ პირს. ტესტირების დროის ამოწურვამდე კონკურსანტს შეუძლია დატოვოს თავისი სამუშაო ადგილი და ჩააბაროს შევსებული ტესტირების ფურცელი, თუ კომისიის მიერ უფლებამოსილი პირის მაგიდასთან სხვა კონკურსანტი არ იმყოფება. ტესტირებისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის შემდეგ კონკურსანტის მიერ ტესტირების პასუხის ფურცლის ჩაბარება ხდება კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ მისი გვარის გამოცხადებით.

9. კონკურსანტის მიერ ტესტირების პასუხის ფურცლის ჩაუბარებლობის შემთხვევაში კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

10. ტესტირების პასუხის ფურცლის ჩაბარებისას კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტისა და მეთვალყურეთა თანდასწრებით ამოწმებს:

ა) ტესტირების პასუხის ფურცელზე ბეჭდის არსებობას;

ბ) ტესტირების პასუხის ფურცლის, ტესტების ვარიანტისა და კონკურსანტის პირადობის მოწმობის ნომრების იდენტურობას;

გ) ტესტირების პასუხის ფურცლის შესაბამისობას ამ მუხლის პირველი და მე-5 პუნქტების მოთხოვნებთან

დ) ტესტირების პასუხის ფურცელში პასუხგაუცემელი კითხვების არსებობას.

11. ტესტირების პასუხის ფურცელზე ბეჭდის არ არსებობის შემთხვევაში ტესტირების პასუხის ფურცლის მიღება არ ხდება და კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

12. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი ტესტირების პასუხის ფურცელზე აკეთებს აღნიშვნას „არ გასწორდება“. თუ კონკურსანტს არ გამოუყენებია ტესტირების პასუხის შეცვლის უფლება და ტესტირების დროის ამოწურვამდე დარჩენილია 15 წუთზე მეტი, მას უფლება აქვს მიიღოს ტესტირების შესავსები პასუხის ახალი დამოწმებული ფურცელი.

13. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტისა და მეთვალყურის თანდასწრებით გადახაზავს პასუხგაუცემელ კითხვას.

14. ტესტირების პასუხის ფურცლის შემოწმების შემდეგ კონკურსანტი პასუხის ფურცლის ჩაბარებას ადასტურებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირთან სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით.

15. კონკურსანტს უფლება აქვს გააპროტესტოს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირის მოქმედება როგორც ტესტირების მიმდინარეობისას, ისე ტესტირების პასუხის ფურცლის

ჩაბარებისას თუ მას არამართებულად მიიჩნევს და საჩივრით მიმართოს კომისიის თავმჯდომარეს. კონკურსანტის საჩივარს კომისიის თავმჯდომარე განიხილავს დაუყოვნებლივ და ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება კონკურსანტის მიერ შეიძლება დადგენილი წესით წერილობით გასაჩივრდეს საპრეტენზიო კომისიაში.

მუხლი 13. ტესტირების შედეგების შეჯამება

1. ტესტირების პასუხის ფურცლებს ასწორებს და შედეგებს ამტკიცებს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.
2. კომისიის გადაწყვეტილება ტესტირების შედეგების შეჯამების შესახებ ქვეყნდება ტესტირების დამთავრების მესამე დღის 15 საათამდე.

მუხლი 14. ტესტირების შედეგების გაპროტესტება

1. ტესტირების შეჯამების შედეგების გამოქვეყნების მეორე დღის 18 საათამდე კონკურსანტს უფლება აქვს მიმართოს საპრეტენზიო კომისიას მის მიერ შევსებული ტესტირების პასუხის ფურცლის გადამოწმების მოთხოვნით. ამ ვადის გასვლის შემდეგ კონკურსანტის პრეტენზიები არ მიიღება.
2. ტესტირების პასუხის ფურცლის გადამოწმებას საპრეტენზიო კომისია ახდენს კონკურსანტის თანდასწრებით ტესტირების შეჯამების შედეგების გამოქვეყნების მესამე დღის 10 საათიდან. კონკურსანტის გამოუცხადებლობა არ არის გადამოწმების შემაფერხებელი გარემოება.
3. თუ საპრეტენზიო კომისია ჩათვლის, რომ შედეგების შეჯამებისას დაშვებულია შეცდომა, იგი დაუყოვნებლივ აცნობებს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს. საკონკურსო-საატესტაციო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პრეტენზიის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ არა უგვიანეს შედეგების გამოქვეყნებიდან მეხუთე დღისა.
4. საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში.

თავი III. გასაუბრება

მუხლი 15. გასაუბრება

1. გასაუბრება წარმოადგენს კონკურსანტის ზეპირ გამოცდას, რომელიც ტარდება კომისიის მიერ კონკურსანტის პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით.
2. გასაუბრებაზე დაიშვებიან ის კონკურსანტები, რომლებმაც გადალახეს ტესტირებით დადგენილი ბარიერი.
3. გასაუბრებაზე დაშვებულ კონკურსანტთა სიას გასაუბრების ჩატარების დროისა და ადგილის მითითებით აქვეყნებს კომისია გასაუბრების დაწყებამდე 2 დღით ადრე მაინც.
4. გასაუბრებაზე კომისიის მიერ შეიძლება სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულნი იქნენ შესაბამისი სფეროს სპეციალისტები.

მუხლი 16. გასაუბრების ჩატარების წესი

1. გასაუბრებაზე კონკურსანტები უნდა გამოცხადდნენ დილის 10 საათზე. 10-დან 11 საათამდე ხდება კონკურსანტთა რეგისტრაცია კონკურსანტთა მიერ სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერით. 11 საათზე იხურება შენობის შესასვლელი, კონკურსანტთა რეგისტრაციის

ჟურნალში კომისიის უფლებამოსილი პირის მიერ კეთდება შესაბამისი ჩანაწერი და დაგვიანებული პირები გასაუბრებაზე არ დაიშვებიან.

3. გასაუბრებაზე გამოცხადებისას კონკურსანტმა თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე კონკურსანტი გასაუბრებაზე არ დაიშვება.

4. კონკურსანტებს გასაუბრების ოთახში იძახებს კომისიის მიერ უფლებამოსილი პირი კონკურსანტების სარეგისტრაციო ნომრის მიხედვით. გასაუბრების ოთახში კონკურსანტები შედიან სათითაოდ.

5. გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში, მიუხედავად გამოუცხადებლობის/დაგვიანების მიზეზისა (საპატიოა თუ არასაპატიო), კონკურსანტი იხსნება კონკურსიდან.

6. გასაუბრების დროს კონკურსანტს ეკრძალება ნორმატიული აქტების, კანონთა კომენტარების, სახელმძღვანელოების ან სხვა ანალოგიური მასალის, მობილური ტელეფონის, აუდიო ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

7. გასაუბრებაზე კომისია კონკურსანტს კითხვებს აძლევს მისი პირადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დადგენის მიზნით.

8. გასაუბრების დასრულების შემდეგ კონკურსანტი და დამკვირვებლები ტოვებენ ოთახს. საკონკურსო-საატესტაციო კომისია ისმენს მოწვეული სპეციალისტების კომენტარებს დასმულ კითხვებზე კონკურსანტის პასუხებთან დაკავშირებით, რის შემდეგ კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს კონკურსანტს დადგენილი ფორმის მიხედვით და გადასცემს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებისაგან და პირადად მის მიერ კონკურსანტისადმი შევსებულ შეფასებას კრავს ცალკე საქალაქო კონკურსანტის გვარის მითითებით. კონკურსანტის შეფასების დასრულების შემდეგ ხდება მომდევნო კონკურსანტის გამოძახება და დამკვირვებლებს ეძლევათ უფლება დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს.

9. ყველა კონკურსანტის მიერ გასაუბრების გავლის შემდეგ იმართება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომა. სხდომაზე იხსნება კონკურსანტის შეფასების საქალაქო დეები და ჯამდება თითოეული კონკურსანტის მიერ მიღებული ქულები. კომისიის წევრის მიერ კონკურსანტისადმი დაწერილი შეფასება კონფიდენციალურია და არ შეიძლება იქნეს გამჟღავნებული. კომისიის სხდომის ოქმში ფიქსირდება თითოეული კონკურსანტის მიერ მიღებული საერთო ქულა.

10. გასაუბრების შედეგები და კომისიის სხდომის ოქმი ქვეყნდება დადგენილი წესით.